

შპს “კონდოლი“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ასარჩევი

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-16

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	31-12-19	31-12-18
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	1,339	90,020
სავაჭრო მოთხოვნები	6	674,082	318,439
გადახდილი ავანსები		145,109	-
მარაგები	7	7,756	5,202
მზა პროდუქცია		7,756	5,202
სხვა		-	-
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	8	201	938
ბიოლოგიური აქტივები		-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-
გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	9	2,649	2,782
ძირითადი საშუალებები	9	1,901,012	1,527,878
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		2,732,148	1,945,259

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	10	-	80,921
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		500	-
საგადასახადო ვალდებულებები		33,670	20,290
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	2,227,722	1,665,170
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები	12	612,106	388,077
სულ ვალდებულებები		2,873,998	2,154,458

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13	139,658	139,658
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(281,508)	(348,857)
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		(141,850)	(209,199)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,732,148	1,945,259

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2019 წელი
ნეტო ამონაგები		471,960
საქონლის გაყიდვიდან	3	471,960
მომსახურების გაწევიდან	3	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-
სხვა		-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-
საწყისი მარაგები		-
მარაგების შესყიდვა		-
გადამუშავების დანახარჯები		-
საბოლოო მარაგები		-
საერთო მოგება		471,960
სხვა შემოსავალი		148,397
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(140,718)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(32,819)
საპროცენტო შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯი (-)		(263,283)
იჯარის ხარჯი (-)		(5,170)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	4	(79,436)
სულ საოპერაციო ხარჯები		(373,029)
საოპერაციო მოგება		98,931
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		-

ფინანსური აქტივები (-)	
მარაგები (-)	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(31,582)
მიღებული დივიდენდები	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	67,349
მოგების გადასახადი (-)	-
მოგება/(ზარალი)	67,349
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	67,349
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(209,199)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(141,850)

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2019 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(247,176)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(372,475)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	562,552
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(57,099)
სავალუტო კურსის ეფექტი	(31,582)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	90,020
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,339

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კონდოლი“ (ს/ნ 5405086400) (შემდგომში „კომპანია“ ან „საწარმო“) რეგისტრირებულია 2015 წლის 23 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჟ. შარტავას 32, ბინა 24 და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ყვარელის რაიონი, სოფელი შაქრიანი შაქრიანი.

შპს „კონდოლი“-ს მესაკუთრე არის: 1) ირაკლი კოტეტიშვილი (პ/ნ 01024002965) - 100%. კომპანიის დირექტორი არის გიორგი ფოჩხიძე (პ/ნ 01024010625). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ყურძნის მოყვანა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%
არამატერიალური აქტივები	4%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მემიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	2019 წელი
	ლარი
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	471,960
შემოსავალი საიჯარო მომსახურების მიწოდებიდან	148,397
	620,357

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019 წელი
	ლარი
საპენსიო შენატანის ხარჯი	1,638
კომუნალური ხარჯი	6,986
ტრანსპორტირების მომსახურების ხარჯი	15,519
საწვავის ხარჯი	8,706
ქონების გადასახადის ხარჯი	12,261

სხვა საგადასახადო ხარჯი	730
მიმდინარე რემონტის ხარჯი	435
საჯაროს რეესტრის ხარჯი	615
ბანკის მომსახურების ხარჯი	1,926
სხვადასხვა ხარჯი	30,620
	79,436

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	93	81,883
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,246	564
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	7,573
	1,339	90,020

6. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან	674,082	318,439
	674,082	318,439

7. მარაგები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
საქონელი	5,558	3,004
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,198	2,198
	7,756	5,202

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები ანგარიშვალდ. პირის მიმართ	201	938
	201	938

9. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარ	ოფისის აღჭურვილობა/ინვენტარი	სატრანსპ საშუალებ	არამატ. აქტივები	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,267,557	203,061	31,185	0	26,734	2,782	1,531,320
შემოსვლები	216,001	62,296	243,798	1,042	37,153	0	560,291
გასაღებები	154,471	0	0	0	0	0	154,471
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,329,086	265,358	274,983	1,042	63,888	2,782	1,937,139
ცვეთა/ამორტიზაცია							
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	0	0	659	0	0	0	659
ცვეთის დანარიცხი	0	11,352	9,915	184	11,235	133	32,819
გასვლები	0	0	0	0	0	0	216
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	11,352	10,574	184	11,235	133	33,478
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,329,086	254,006	264,409	858	52,653	2,649	1,903,661
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,267,557	203,061	30,525	0	26,734	2,782	1,530,660

10. სავაჭრო ვალდებულებები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
ვალდებულებები საქონლისა და მომსახურების მოწოდებიდან	-	80,921
	-	80,921

11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

საკრედიტო ინსტიტუტი	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი, 2019 წ.	01 იანვარი 2019 წ.
მიმდინარე				
ირაკლი კოტეტიშვილი ფ.პ.	20 %	GEL	1,061,000	981,000
ირაკლი კოტეტიშვილი ფ.პ.	9 %	EUR	162,722	141,656
ირაკლი კოტეტიშვილი ფ.პ.	9 %	USD	57,354	54,536
ხალიკ ბანკი	7 %	USD	322,863	395,233
ხალიკ ბანკი	13 %	GEL	70,868	92,745
ხალიკ ბანკი	12 %	GEL	497,953	0
ხალიკ ბანკი	12 %	USD	54,962	0
			2,227,722	1,665,170

12. სხვა ვალდებულებები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
საპროცენტო ვალდებულებები	611,741	388,080
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	365	(3)
	612,106	388,077

13. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 139,658 ლარს და მას სრულად ფლობს დამფუძნებელი.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 30 სექტემბერს.

შპს „კონდოლი“-ს

დირექტორი: გიორგი ფოჩხიძე /

13. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 139,658 ლარს და მას სრულად ფლობს დამფუძნებელი.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 30 სექტემბერს.

შპს „კონდოლი“-ს

დირექტორი: გიორგი ფოჩხიძე



გოჩიძე